

მნიშვნელობა

მწყემსმან კეთილმან სული
თვისი დაპსდვის ცხოვართათვის
ითან. 10—11.

№ 17

1883—1908 წ.

30 სექტემბერი

შ ი ნ ა ა რ ს ი.

სალითერატურო განცოცილება: რაში მდგომარეობს ჩვენი უბედურობა? მღვ. ი. ლუკიანოვისა.—როდის ველირსებით ძველი წესწყობილების შეცვლას სასულიერო წილებაში.—რევოლუცია ასმალეთში.—როგორ უნდა დაიფარო თავი ხალერისაგან, ა. ა. საყვარელიძისა.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სტატია და გეცილება ჩრისტიანობის სარმატულებას და კონცენტრაცია:—წიგნი რიცხვთა.—

X რაში მდგომარეობს ჩვენი უბედურობა?

ჩვენ დროში, როცა აღამიანი ეკკლესიაში იმყოფება, ამ მყუდრო, მშვიდობიან, აულელვებელ ნავთსაყუდელში, საღავა ყველას ჩვენ გვაერთებს ერთი სარწმუნოება ჩვენის მაცხოვრის მიმართ, ერთი სასოება მის განუსაზღვრელ მოწყალებაზე, ერთი სიყვარული ქრისტეს მიერ,—რანაირის მწუხარებით აგონდება მას ის დიდი განხეთქილება, რომელიც არის გამეფებული ეკკლესიის გარეთ ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში! ჩვენ ყველამ ვიცით რომ, ამ მყუდრო ნავთსაყუდელის გარეთ, როგორ გაშმაგებულად ეხეთქებიან აქეთ-იქით ტალღები უთანხმოებისა და სიძულვილისა! ჩვენ ყველამ ვიცით, რანაირის მძინვარებით გვაწყდებიან ისინი, გარემოგვიცვამენ ყველა მხრივ. და უნდათ დალუბონ ჩვენი თავი თავის საშინელ ჯურლმულში. ამაში მდგომარეობს დადი უბედურობა, რომელიც თავს დაგვატყდა ჩვენ... განა ამაზე შეიძლება გაჩუმება ამ დროში? როდესაც კერძოთ რომელსამე ჩვენგანს რაიმე უბედურობა ეწვევა, რანაირი სანუგეშო და გამამხნევებელია იმისათვის, როგორც მას შეხვდება გულშემატკიცარი ადამიანი, რომელთანაც შეიძლება უბედურობის გაზიარება, იმასთან ერთად შეიძლება გამოკვლევა ამის მიზე-

ზებისა და გამოგონება საშუალებისა, რის წყალმაბითაც შეიძლებოდეს ამ უბედურობისაგან თავის დახწევა. აქ-კი—საზოგადო უბედურობა; ყველა ჩვენთვის დიდად სამწუხაროა ასეთი განხეთქილება.

მაშ ერთად გულსმოდგინეთ გავსაჯოთ ეს საქმე, ჩაუკვირდეთ თანამედროვე ცხოვრებას, გავშინჯოთ რა ხდება ჩვენში და ჩვენს გარშემო.

მტრობამ, სიძულვილმა გასდევნა ჩვენის ცხოვრებილან მშვიდობისანობა!

ყველაზე პირველად ხალხი გაუხდა მტრად თავის თავს, თავის სულს. ეხლა ხშირად შეხვდებით კაცს დალლილის დალვრემილის სახით, რაიცა ნათლად მოწმობს იმას, რომ იგი განიცდის სასტიკ შინაგან ბრძოლას. თითქოს რაღაც დიდი ძეირფასი რამე დაკარგოდეს კაცს ეძებდეს და ვერ ჰპოულობდეს. აბა ჰკიოთხეთ იმას მის სულიერ მდგომარეობაზე, და ის გიპასუხებთ თჭვენ, რომ გულსმომწყვლელი მწუხარებით არის სავსე მისი გული. ყველა აზრები ვრთმანეთში არეულ-დარეული აქვს, და რომელს დაადგეს, თითონაც არ იცის. ყველაფერი იბრძეის მაში. დამშვიდება, დასვენება სწყურია. მაგრამ „არა არს მშვიდობა, არა არს ლხენა, არა არს მოსვენება“?.. ზოგი ადამიანი ვერ იტანს ასე სასტიკ მდგომარეობას და თითონვე ისპობს თავის სიცოცხლეს. რამდენი ხდება ეხთა ამისთან უბედური თავის-მკვლელობა!

კ. ბარების სახ. ხევ.
სახელმწიფო რესპუბლიკური დილიგანცია

უთანხმოებას და სიძულვილს ვხედავთ ჩვენ
ოჯახურ ცხოვრებაშიაც. აქ მშობლები არიან გან-
ხეთქილებაში შვილებთან, და შვილები—მშობლებ-
თან. წინანდელ ოჯახის მოსიყვარულე წევრების
ურიერთობაში ეტყობა რაღაც უსიამოვნო განწყო-
ბილებაა. თითქო ერთმაეთს ერიდებიან, გულს არ
უხსნიან, რაღასაც უმალავენ, რაღაც დაფარული
უდევთ გულში. ცოლქმრობაში გახშირდა ეხლა
მოთხოვნა გაყრისა. აქაც არა არს მშვიდობა, არა
არს ლხენა, არა არს მოსვენება.

უთანხმოება და შფოთი ოჯახიდან გაღავილა
საზოგადო, სახელმწიფო ცხოვრებაშიაც. ოჯახი
მარცვალია სახელმწიფოსი; და როგორიც მარცვა-
ლია, ისეთივე გამოდის მცენარე. საზოგადო ცხოვ-
რებაში ჩვენ ვხედავთ როგორ გაჩნდნენ, როგორ
მძვინვარებენ პოლიტიკური მისწრაფებანი, როგორ
თაც გაჰყენს ხალხი—ძმები—ყოველნაირ ერთმა-
ნეთში მტრულ განწყობილ პარტიებად. თითო-
ეული პარტია აღიარებს მხოლოდ თავის თავს ჭეშ-
მარიტებად, სხვისი დარღი-კი სრულებითაც არა
აქს; მარტო თავის თავი ჰგონია ბრძენი, სხვები-კი
მიაჩნია უგუნურად. ამნაირათ ხდება სასტიკი ბრ-
ძოლა, საშინელი ბრძოლა. არია გამართული ომი
ყველასი ყველას წინააღმდეგ... არ გაგონილა, არა
თქმულა როგორ გახშირებულია ეხლა მკალელობა...
აქაც სწყურიანთ მშვიდობა და დასვენება. მაგრამ...
„არა არს მშვიდობა, არა არს ლხენა, არა არს
მოსვენება“! ხალხს დაავიწყდა, რომ ისინი ყველა-
ნი არიან შვილები ერთის ზეციერის მამისა, რომ
ყველანი არიან გამოსყიდული ძეირფასი საფასუ-
რით—პატიოსნითა სისხლითა ქრისტეს—მაცხოვრი-
სა; დაავიწყდა სიტყვები დიდის მოციქულისა:
„გლოცავ თქვენ, ძმანო. სახელითა უფლისა ჩვენი-
სა იყსო ქრისტესითა, რათა მასვე იტყოდეთ ყო-
ველი, და ნუ იყოფინ თქვენ შორის წვალება,
არამედ იყვენით განმტკიცებული მითვე გონებითა
და მითვე მეცნიერებითა“. (ა. კორინთ. 1,10).

რათ მოხდა ჩვენში ყველა ეს? რატომ არა
გვაქს მშვიდობა პირველად თითონ ჩვენ? რატომ?
— შეხედეთ აბა მცენარეს, როგორიც მოკლებულია
ცის ნამსა. ის სჭინება და ხმება. შეხედეთ თევზს,
წყლიდან გამოტანილს; როგორ აწყდება ის აქთ-
იქით და ბოლოს კვდება მისთვინ შეუფერებელ სტი-
ქიაში. მიაქციეთ ყურადღება მკზავრს, როგორსაც
გზა აერია, როგორა სწუხს, როგორ ეძებს გზას,

ხან აქეთ აწყდება, ხან—იქით. იგივე უნდა ითქვას
ჩვენზედაც. აი ეგროვე ჩვენც გზა დავკარგეთ, სხვა
გზას დავადექით. მოკლებულნი ვართ საჭირო ცის
ნამს, ვიმყოფებით შეუფერებელ სტიქიაში. სვენ
ნამეტნავად გავხლით ქვეყნიურნი: მხოლოდ ქვეყ-
ნიურზედ-და ვფიქრობთ, ქვეყნიურზედ-და ვზრუ-
ნავთ—თხუნელას მზგავსად, რომელიც მიწაში აკე-
თეთებს სოროებს, და არ უნდა გაიგოს იშის ზევით
რა ხდება,—ხალხიც მთელის თავის ძალ-ღონით
მოსჭიდებია იმ საქმეს, როგორ მოაწყოს თავის
ქვეყნიური ცხოვრება, იმ იმედით, რომ შეჲჭმას
ქვეყნიური ნეტარება, ქვეყნიური ბედნიერება, ქეყ-
ნიური სამოთხე. მაგრამ... სულს ვერ მოატყუებ! ამ
დაუდგრომელ ზრუნვაში ქვეყნიურ საქმეებზე, სუ-
ლი არა და არა, უსათუოდ თავს იჩენს და აგრძ-
ნობინებს, რომ იგი ღვთისაგან ჩაბერვილია, რომ
იმისათვის ძნელია სუნთქვა შეუფერებელის ამ ქვეყ-
ნიურის ჰაერით. მას სული უგუბდება, სულიერ
ჰაერს თხოულობს. ზეციური ცხოვრება სწყურია;
და ამისთვის იბრძვის სული და სწუხს იგი... სწუხ-
დება. ჩვენ კი?—ჩვენ მხოლოდ ქვეყნიურზე ვფიქ-
რობთ და ვზრუნვავთ. ბევრ რამეს ვაკეთებთ და
ერთი უმთავრესი გვავიწყდება. დაიხ, იტყვის ვინმე,
ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ კაცმა როგორ არ
უნდა იზრუნოს ქვეყნიურზე, როდესაც იგი ქვეყა-
ნაზე სკხოვრობს? ცხოვრება უნდა, ჭამა-სმა უნდა!
ეს მართალია: ქვეყნიურ საქმეებზე უზრუნველიდ
დარჩენა შეუძლებელია. ამისი სრულიად უარ-
ყოფა ნიშნავს დაუდევრობას. ეს ნუ იქნება. და-
უდევრობაზე კი არ არის აქ ლაპარაკი, არამედ
იმაზე, რომ ქვეყნიურმა ზრუნვამ მთლად არ სჩანთ-
ქის სულიერი ცხოვრება. ქვეყნიური ზრუნვის
დროსაც ჩვენ უნდა გვახსოვდეს სულიერი საქმეც.
სხეულის საზრდოებასთან, უნდა ვასაზრდოვოთ
სულიც, მაცხოვრის სიტყვისამებრ, „ეს ჯერ-არს
საქმედ, და იგი არა დატევებად“ (მათ. 23, 23).
ხოლო რა არის საზრდელი სულისა, ამას გვასწავ-
ლის თვით მაცხვარი: „არა პურითა მხოლოდ
სცხონდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა
რომელი გამოვალს პირისაგან ღვთისა“ (მათ. 4, 4)
მაშ უნდა ვასაზრდოვოთ ხვენი სული ამ ზეციუ-
რის საზრდელით—ღლის სიტყვით. ხშირად უნდა
ჩაუკვირდეთ წმინდანების ცხოვრებას, მაშინ ჩვენ
თითქოს ვუმევობრდებით თვით წმინდანებს, იმათ-
თან ვსაუბრობთ, თანა-ზიარ ვექმებით მათ ღვაწლს,

და უნებლიერ აღვივსებით იმ გამოუთქმელის სულიერის სიმშვიდით, რომლითაც იყვნენ აღვისებულნი წმინდანები. მხოლოდ მინამ ხალხი თავის გონიერების მარტო ქვეყნიურ ზრუნვას მოანდომებს, სხვა და სხვა მანქანების გამოგონებას,—და არ მისცემს გონიერას მის შესაფერს საზრდელს,—მანამდის ხალხის სულში არ იქნება მშვიდობა, არ იქნება ლხენა, არ იქნება მოსვენება.

როდესაც ხალხს არა აქვს მშვიდობა სულისა, იგი ერთმანეთშიაც მტრულად იქმნება განწყობილი; და აი მართლაც არ არის მშვიდობა არც ჩვენს ოჯახებში, არც საზოგადო ცხოვრებაში. საიდან გაჩნდა ეს საერთო განხეთქილება, ეს საერთო მტრობა?—ამაზე გვიპასუხებს შემდეგი იგავი ჩვენის მაცხოვრისა:

ერთხელ, ერთმა მეფემ მოინდომა ანგარიშის გაწევა თავის მონებთან. ამ დროს წარმოუდგინეს მეფეს ერთი მოვალე, რომელსაც ემართა მისი ათი ათასი ტალანტი; რადგანაც ამ მოვალეს არა ჰქონდა რომ მაშინვე გადაეხადა ამოდენა ვალი, მეფემ ბრძანა გაეყიდნათ იმის ცოლ-შეილი, და ყველა-ფერი, რაც-კი ჰქონდა მას, ვალის გადასახდელად. შეშინებული მონა, ამ გადაწყვეტილების გაგონებაზე, დავარდა მეფის წინ, თაყვან-ჰსცემდა მას და ეტყოდა: „მეფე! მომითმინე მე და ყოველივე მიგცე შენ“. მეფემ შეისმინა მისი ხვეწნა, შეეწყალა მონა იგი, გაუშვა ის და აპატია მას მთლად ის იმოდენა ვალი. გამოვიდა თუ არა ეს მონა მეფის სახლოდგან, შეხვდა თავისს მოყვასს, რომელსაც ჰმართებდა იმისი სულ რაღაცა ასი დრაჰკანი. დაიჭირა ის, შეაშთობდა მას და ეტყოდა: „მომეცი მე, რაცა გმართებს“. მაშინ მოყვასი დავარდა მის წინაშე, ეხვეწებოდა დაეცალნა. მაგრამ ამან არ მიიღო ეს ხვეწნა, წავიდა და შიაგდო იგი საპყრობილები, მანამ ვალს არ გადაუხდიდა, (მათ. 18,23—30). აი ჩვენ სწორეთ ამ უმოწყალო მონას დავემსგავსეთ ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენს ერთმანეთთან განწყობილებაში. ცოდვებით დამძიმებულნი, და ლირსნი ყოველივე სასჯელისა, ჩვენ ვთხოვთ ზეციერ მამას მოწყალებას: „მამიო ჩვენო, მომიტევენ ჩვენ თანანალები ჩვენი!“ ყოვლად სახიერი ღმერთი გვაძლევს ჩვენ ცოდვების პატიებას, მაგრამ ჩვენ იმავე დროს, შეეხვდებით თუ არა ჩვენს მოყვასს, რომელმაც მოგვაყენა ჩვენ რამე უსიამოვნება, არ ვურიგდებით, მაშინვე ზურგს

ვაქცევო, არ გვინდა გამოველაპარაკოთ. აშენაც არ ვაჯერებთ, ჩვენ გვინდა იმას მახე დაუგოთ და უსათუოთ ზარალი მივაყენოთ. ჩვენ გავხდოთ მეტად სასტიკი მსაჯულები სხვებისა, ხშირად ვერდათ ბეჭვსა ჩვენი მმის თვალში, და ვერ ვამჩნევთ დირესა—ჩვენსაში. სამათა, რომ ჩვენმა ძმამ ან სთვას, ან გააკეთოს რამე არა ჩვენ გემოზე,— ჩვენ მაშინვე ვიწყებთ ლანძღვას, ჩხუბსა და ერთ დავი-დარაბას. ჩვენ ერთი ერთმანეთ აღარაფერს არ უთმობთ. თვითეულს ჩვენგანს მიაჩნია თავისი თავი კეშმარიტების მქონებად, მარტო თავის თავზე მიაჩნია უფლება თავის რწმენის თავისუფლად გამოთქმისა, და არ აქტევს ყურადღებას სხვის რწმენას. ამნაირათ, ქრისტეს ერთი სხეულის წევრებით, ჩვენ ვიყოფებით და ვცალცალკევდებით ჩვენს აზრებში ჩვენს ქცევაში, და ჩვენისავე საკუთარის ხელებით ვარღვევთ ქრისტეს კვართსა. სანამ ხალხი მიემზგავსება იმ ულმობელ მონას, არ იქნება ერთი-ერთმანეთის შემწყნარებელი, არ იქნება, მოციქულის სიტყვისამებრ, „ურთიერთარს სიმძიმის მტვირთველი“ (გალ. 6,2),— მანამდის არც ოჯახურ ცხოვრებაში, არც საზოგადო ცხოვრებაში არ იქნება მშვიდობა, არ იქნება ლხენა, არ იქნება მოსვენება.

ამნაირად, სულ პირველად საჭიროა ჩვენთვის სულიერი საზრდელი, რომ მშვიდობა დაემყაროს ჩვენ საკუთარ სულში; მეორეთ, წვენთვის საჭიროა ძმური, ქრისტიანობრივი, მოწყალებითი განწყობილება ჩვენს მოყვასთან, მის უძლურებასთან, ნაკლულევანებასთან და შეცდომილებასთან,— რათა დაემყაროს მშვიდობა მშვიდობა ჩვენს ოჯახებში და საზოგადო ცხოვრებაში. მომეტებულად ამ დროში, გარემოცულთ სიძულვილის და მტრობის ტალღებით, ჩვენთვის საჭიროა, რაც შეიძლება ხშირად მივმართოთ მშვიდობიან ნავთსადგურს— ლვთის ტაბარს. აქ ყველაფერი ამშვიდებს ადამიანს: წყნარი ციმციმი სანთლებისა, დამშვიდებული სახეები წმინდანებისა, მუღმივი ლოცვა „ზეგარღამი მშვიდობაზე“, მუღმივი სიტყვები მღვდლისა „მშვიდობა ყოველთა“ და დარიგება ეკკლესიისა. ჩვენის მაცხოვარის იესო ქრისტეს სიტყვებით, სადაც ორია, ან სამი შეგროვილი იმის სახელისათვის,— იგი იმათთან არის (მათ. 18,20). ეკკლესიაში-კი იმის სახელით იკრიფებიან არა ორი, ან სამი, არა-მედ მომეტებულად ბევრნი. და იგი, ჩვენი მაცხო-

ვარი, მშვიდობად ჩვენი, გვწამს ჩვენ, იმყოფება ჩვენთან; გვაკურთხებს ჩვენ თავის მაღლიანის მარჯვენით, და ჩვენთან დაადგრება თავის ზეციერის მამით; და როგორც ოდესაც უფლის მოწაფეების ლუკასი და კლეოპას გულნი იყვნენ ანთებულნი, როდესაც მკვდრეთით აღდგომილი მაცხოვარი თანა უფიდოდა მათთან სოფელ ემმაუში, — ეგრეთვე ღვთის ტაძარშიაც უფლის განსაკუთრებულის თანამყოფობის გამო ჩვენი გულიც აენთებაზეციურის სიხარულით, მშვიდობით და სიყვარულით. მაშ! ძმანო ქრისტიანენო, მოვიტანოთ ხოლმე ყოველთვის ღვთის ტაძრიდგან ეს წმინდა ცეცხლი ჩვენ სახლებში, ჩვენს ოჯახებში, დავანთოთ ის ჩვენის მოყვასის სულსა და გულში. აი მაშინ მშვიდობისაგან აღსებულის გულით, ხალხი სიძულვილზე და მტრობაზე-კი იღარ ილაპარაკებს, არამედ შერიგებაზე და სიყვარულზე; და ღმერთი სიყვარულისა და მშვიდობისა იქნება ჩვენთანა!..

მდგ. ითანხე დუჭიანოვი.

~~როდის ველის სებით ძველი ფეხზოგილების შეცვლას სასულიერო ჭოდებაში.*)~~

ამას წინეთ ჩვენ „მწყემსი“. ს მკითხველებს დაუმტკიცეთ შეუფერებლობა და უადგილობა ზოგიერთი ძველი დროიდან დადგენილ კანონთა და წესწყობილებათა. დავპირდით მკითხველებს, რომ შემდეგში გვექმნებოდა მსჯელობა, თუ როგორ ხდება განსამართლება დამნაშავე სასულიერო პირთა, საზოგადო რუსეთის სახელმწიფოში და ჩვენში განსაკუთრებით.

რუსეთის სახელმწიფოში სისხლის სამართლის კანონების ერთნაირად ისჯებიან სასულიერო და საერო პირები საზოგადო არსებულ სამსჯავროებში. სასულიერო უწყების პირებზე, მღვდლებზე და მთავარ-დიაკვნებზე საქმის გამოძიების შემდეგ ითხვება ნებართვა სასულიერო მთავრობისაგან ბრალდებულთა განსაჯელად. სასულიერო მთავრობა ვალდებულია განიხილოს გამოძიებული საქ-

მე და თუ თავის მხრითაც ბრალდებულის გასა-მართლებელი არა არის-რა ნებას დარტავს გნესაჯოს იგი. რაიცა შეეხება ისეთ დამნაშაობას, რომელთა გამო ღირსება არ ერთმევა ბრალდებულს, არამედ საბრიყვო (შტრაფით)ან დაპატიმრებით თავდება საქმე საერო საზოგადო სასამართლოს არ შეუძლია მღვდელი და მთავარ დიაკვნი განსაჯოს. ყოველ-გვარ შეურაცხებისათვის და თანამდებობის წინაა-ღმდეგ მოქმედებათა ჩადენისათვის მხოლოდ სა-სულიერო მთავრობას შეუძლია განსაჯოს მღვდელთა და მთავარ დიაკვნით საქმები. საერო საზოგადო სასამართლოს ამისთანა საქმების მიღება და გან ხილვა არ შეუძლია.

როგორც საერო წოდებაში ისე სასულიერო წოდებაში არიან. საქმის გამომეძიებელნი. სასუ-ლიერო უწყებაში წინეთ საქმის გამომეძიებლებად იყენენ ბლალოჩინები, მაგრამ ბოლო დროს რუსე-თის სამღვდლოების მიხედვით ჩვენს საქართვე-ლოშიაც შემოიღეს სასულიერო გამომეძიებელნი. მიბაძვა ძლიერ გარგი რამ არის, მაგრამ წაბაძვე-ლი თუ უვიცი და შეუგნებელი კაცია წაბაძვა მაიმუნების წაბაძვას დაემგვანება.

1892 — წლიდამ ჩვენ სასულიერო წოდებას გვყავს სასულიერო გამომეძიებელნი მაზრაში ერთი კი არა, არამედ სამი-ოთხი. საერო უწყების გამო-მეძიებელნი არ არიან ისეთი უფლებებით აღჭურ-ვილნი, როგორი უფლებებითაც არიან აღჭურ-ვილნი ჩვენი სასულიერო გამომეძიებელნი. საერო წოდების გამომეძიებელნი უფიცრად ჰერიტენ მოწ-მებს. მხოლოდ სამსაჯულოს შეუძლია დააფიცროს მოწმები და მათი ჩვენებისამებრ განსაჯონ ბრალ-დებულნი. სასულიერო უწყებაში კი გამომეძიებელი აფიცრებს მოწმებს და ყოველივე საქმე ბრალდებუ-ლისა გამოძიების დროს თავდება. გამოძიებული საქმე წარედგინება ადგილობითი მღვდელთ მთავარს. ყოველი ბრალდებული რომელიც აბრიყოს გარდახდევინებით ან ორი კუირის ვადით მონას-ტერში გაგზავნით ისჯება თვით ეპისკოპოსს შეუძ-ლია დაბოლოებით გარდასწყვიტოს და გაათავოს უაპელაციოთ და თუ ბრალდებული ისჯება მეტი სასჯელით, ღირსების იმორთმევამდე და ანა-ფორის გაზდით, ექვემდებარება რუსეთში კონსის-ტორიებს და საქართველოში სინოდის კანტორას. რუსეთის ეპარქიებში ყველან არსებობს კონსის-ტორიები. ეს კონსისტორიები აწარმოებენ ყოვე-

*) იხ. „მწყემსი“ № 5—6 1908 წ.

ლივე საქმეს უმაღლესად დამტკიცებულ კონსისტორიიდისათვის კანონისამებრ. რომ განიხილავ კონსისტორიის კანონებს გულდასმით იტყვით: ნეტავი იმ ხალხს, რომელშიცა ესეთი კანონები მოქმედებს, მაგრამ ნამდვილად, რომ გაიგებ საქმის მდგომარეობას სრულებით სხვას ფიქრობ. კანონები კანონებათ ითვლებიან, მაგრამ საქმით სულ სხვა არის. გაგახსენდებათ ებრაელების ცხოვრება უდაბნოში მოგზაურობის დროს. ათი მცნება დაწერილი ყოველ ებრაელს კარავში გამოსაჩენ ადგილზე ჰქონდა დასვენებული და დილიდან საღამომდინ რამდენჯერმე წაიკითხავდა, ხელზედაც ჰქონდა შებმული, მაგრამ ხშირად სულ ადვილად მიიღებდა კერპთთაყვანის მცემლობას! ავიღოთ თუ გინდა ჩვენი ჩინებული ქრისტიანები. ხშირად ესმისთ მაც. ხოვრის სიტყვა გიყვარდეს მოყვასი შენი როგორც თვისი. ხანდისხან სულ უბრალო საქმისთვის, შერის და მტრობისთვის და ორიოდე გროშისთვის მზად არის სიცოცხლე მოგისპოს კაცს!

რუსეთის სასულიერო სამსჯავრო, კონსისტორია შესდგება სამი წევრისაგან, რომელსაც იჩჩევს სინოდი ადგილობითი ეპარქიის სამღვდელოთაგან ჯამაგირით, მაგრამ ეს მღვდლები კათედრის ქალაქის სამღვდელოთაგანებია და მრევლიც ჰყავსთ. როცა ყველა წევრები და მასთან კონსტისტორიის მდივანი კეთილი კაცები შეხვდებიან, რასაკვირველია ბედნიერი არიან ამ კონსისტორიის საგამგებლო სასულიერო წოდება...

კონსისტორიების ნაცვლად ჩვენში არის სინოდის კანტორა დაწესებული საქართველოს რუსეთთან შეერთების დროიდან. წარმოიდგინეთ სახელიც კი აღარ გამოცალეს ამ კანტორისა! როცა გესმის: მანთა შევის კანტორა, ნობელის კანტორა, „ნაცვლას“ კანტორა და როცა გაიგონებთ ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორას გიკვირს რა კანტორა უნდა იყოს ეს კანტორა. ერთხელ ამ სინოდის კანტორის პროკურორის მოწმათ იყო დაბარებული სამხედრო სასამართლოში არხიმანდრიტის ნიკოლოზის მოკვლის საქმის გამო. ჰყითხეს სად მსახურებო? როცა მიუვი, სინოდის კანტორაში, წევრებს გაუკვირდათ და გულში სთქვეს აღბად რა უნდა პროკურორს კანტორაში? იმათ ვეონებ ხვაჭრო კანტორა ეგონათ. ეს ჩვენი კანტორა წინეთ უკეთესად იყო მოწყობილი, მაგრამ ამ ბოლო დროს კი სრულებით აღარ არის რაც

იყო წინეთ. წინეთ ადგილობით სამღვდელოებას თავითანთი წარმომაღენლები ყავდათ. დასავლეთის საქართველოს სამღვდელოებას ერთი წევრი მღვდელი ან არხიმანდრიტი იმერეთიდან ყავდა წევრიდ. მაგრამ ამ ბოლო დროს სინოდმა თავის განკარგულებით შტატში და შტატ-გარეთაც დანიშნა ბერი უცხოელი. მრავალ თანამდებობის აღმასრულებელს ვოსტორგოვსაც კი მისცეს სინოდალნი კანტორის წევრობა. ამ კანტორიში თავსმჯდომარედ არის არხიეპისკოპოსი, წევრებად არიან ეპისკოპოსები, არხიმმნიდრიტები და დეკანოზები ამასთან მართებლობის მხრით პროკურორია დანიშნული, რომ საქმე კარგად მიღიოდეს და ერთი კაპეიკის გაფლანგვაც არ მოხდეს. მაგრამ წარმოიდგინეთ როდესაც წევრების რიცხვმა იმატა და ვოსტორგოვიც წევრად ბრძანდებოდა და სწორედ მაშინ მოხდა ორას ორმოცდა ათი ათასი მანეთის გაფლანგვა ბატონი კანტორის ხაზინადრიდან... მკითხველმა იქნება ეკსპროცრიაციას მიაწეროს ამ ფულების გაფლანგვა. არა ეს ისე, შინაურულად მოხდა, ჩუმათ. დიდად გამჭრიახე წევრები ქაღალდებს ამოწმებდენ ყოველ თვის დასრულებისას, მაგრამ ფულები კი არავის მოუკითხავს!.. ერთხელ არ დაუთვლიათ ფულები ათ წელიწადში და იქნება მეტ დროსაც... ბოდიშს ვიხდი მკითხველთან ცოტა ავტოით კითხვას.

დაიწერა საჩივარი მღვდელზე და მიერთვა ადგილობით მღვდელთ-მთავარს. თუ მღვდელობას გარდა რამე თანამდებობას ასრულებს უთუოდ პირველად ჩვენება უნდა ჩამოერთვოს ბრალდებულს და თუ თავის გასამართლებელ ფაქტებს ვერ წარადგენს საქმე გამომეძიებელს გარდაცემა. მაგრამ ამ უკანასკნელ წესს ხშირად არ ასრულებენ ზოგიერთი მღვდელთ მთავრები. მიუჟა თუა არა საჩივარი დაიძრის გამომეძიებელი და წავა იმ სოფელში სადაც ბრალდებული და მომჩივანია. თუ არ გადააყენეს გამომეძიებელი, მომჩასუხეთა, შეუდეგება გამოძებას მაგრამ გამოძიების წესი სხვა და სხვა გამომეძიებელთა სულ სხვა და სხვა აქესთ ზოგიერთი გამომეძიებლის ნაწარმოები საქმე რომ გასინჯოთ მარტო პროტოკოლები (სიგალები) უფრო მეტია ვინემ ჩვენებანი მოწმეთა თუ გამომაძიებელი ცნობის მოყვარე კაცია და ცოტაც არის მაცადინია კანონების შესწავლას და ამასთან სინიდისიერი კაცია, რასაკვირველია, მალე შეისწავლის საქმის ძიებას.

მაგრამ ღმერთმა დაგიფაროს ზოგიერთი გამომეძიებლისაგან, რომელსაც თვითონ არა გაეგება-რა და არავის კარგ რჩევას არ გაიგონებს. თუ მომივან მოპასუხესაც არა გაეგებათ რა კანონებისა, მაშინ ღმერთმან უწყის გამოძიებული საქმის რიგიანობა. როცა გამოძიებულ საქმეს მიაღებდა მღვდელთ-მთავარი წინეთ მთლად წაიკითხავდა და ყოველივეს თვითონ შენიშნავდა რაც აკლდა. ვასაც სურს კარგად გაეცნოს გამოძიებული საქმის განხილვას იმან უნდა გადაავლოს თვალი მიტროპოლიტის ფილარეტის წიგნის ერთ ნაწილს, რომელიც შეეხება მისი ეპარქიის მღვდლების გამოძიებულ საქმეების განხილვას. ეს შესანიშნავი მიტროპოლიტი თავს მდივანს კი არ გადასცემდა გამოძიებულ საქმეებს მოსახსენებლად, როგორც ეხლა იციან ზოგიერთმა ეპისკოპოსებმა არამედ თვითონ განიხილავდა და ერთ სიტყვას არ დატოვებდა უყურადღებოდ თუ შეატყობდა რომ ჩვენებები ვერაცხულია და პასუხიც პირ-და პირი და რიგიანი არ არის მიცემული. ბშირად დიდი საყვედური გვხვდებოდა ბლაფორჩინებს მიტროპოლიტისაგან მიღდომილები სათვის და უკანონოდ საქმის წარმოებისათვის.

ჩვენს ღროში როგორდა მიდის გამოძიების საქმის წარმოება? გამომეძიებელნი ჩვენში ლეთის წყალობით საკმაოთ არიან, იძიებენ საქმეს და წარუდგენენ აღვილობითი მღვდელთ-მთავრებს. მღვდელთ-მთავრები თავიანთ მდივანებს მიანდობენ გადასახედავად. მდივანი რომელსაც ბრალდებული რამდენჯერმე ინახულებს განიხილავს საქმეს და თუ რამე აკლია გამოძიებას დაუბრუნებს შესავსებლად უკანვე გამომეძიებელს. თუ არა აკლიარა მოსახსენებს მღვდელთ-მთავარს საქმის გარემოებას და მღვდელთ მთავარი ან აჯარიმებს ბრალდებულ მღვდელს, ან ამართლებს. თუ მღვდელთ-მთავრის შსჯავრს აღმატება საქმე მაშინ წარუდგენს სინდის კანტორას. ამის შემდეგ საქმის გადაწყვეტა ბრალდებულის სასარგებლოდ თუ იგი დამნაშავეა დამოკიდებულია თვით ბრალდებულის გამჭრიახობაზე და მაცალინობაზე... თუ კანტორამ სასჯელი გადაუწყვიტა სისრულეში უნდა მოიყვანონ. ბრალდებულს უფლება აქვს გადაიტანოს სინოდში საქმის გასაჩივრება და ითხოვოს გამართლება, შეიძლება სინოდმა კიდეც გამართლოს სრულებით ბრალდებული, მაგრამ კანტორის განჩინება მაინც სუსრულეში იქმნება მოყვანილი. სისრულეში კანტორის გან-

ჩინება არ მოვა თუ მღვდელს მღვდელობის ხარისხი ერთმევა. დანარჩენი სასჯელი რაც უნდა იყოს კანტორისა სისრულეში მოდის და სინოდის გადაწყვეტილება ვერ შეაჩერებს. ეს აღბად იმიტომ არის ასე დაწესებული, ჩვენს წოდებაში რომ სასჯელი კაცს ასწორებს და ბრალდებული მაინც დასჯით წაგებული არ იქნებაო!?. რამდენიმე მღვდლებს მონაცემების წასვლა ჰქონდათ გადაწყვეტილი, რომელიც სინოდმა გაამართლო. სამი თვის შემდეგ სასჯელის შესრულებისა გამოუცხადეს ინიციის უქაზი, რომ იგინი გამართლებული იყვნენ. მაგრამ წაგებულნი მაინც არ ყოფილია, რადგან სასჯელი თურმე სასარგებლოა მღვდლისათვის!.. დრო არ არის ამაზე ხმა ამოიღოს სამღვდელოებამ?..

რევოლუციის მსალელი.

საქაბარი შეიხ-ულ-ისლამთან.

„რეჩ“-ი სტამბოლელ კორესპონდენცის უნახავს შეიხ-ულ-ისლამი და შემდეგი ოთხი კითხვა მიუკია მისოფის;

1. როგორ უყურებს შეიხ-ულ-ისლამი ქალთა განათლებას და ქალთა მდგომარეობას?

2. თანაუგრძნობს იგი გაზითებულ გამოთქმულს აზრს, რომ ყორანი ასმალურ ენაზე გადათარგმნონ, თუ არა?

3. როგორ უყურებს საერო სკოლებს და საზოგადო სასკოლო საკითხს?

4. როგორ ესმის ს. წმინდა თარგმნის საშუალებით მიუკია ამნაირი პასუხი:

ყორანი მოიხიზოს, რომ ყველა კაცებმა და ქალებმა წერა-კითხვა იცოდნენ და იყვნენ ნასწილები. ამიტომ დიდის თანაგრძნობით ვეკიდები ქალთა განათლების გავითარებას არა თუ მარტო დაბალ და საშუალო განათლების განვითარებას, თვით უმაღლესისაც. მე უფრო სასარგებლოდ მიმაჩნია, რომ ქალებს სწამლობდნენ ექიმი-ქალები და არა კაცები და ამიტომ იმ აზრისა ვარ, რომ ქალებს უნდა მიეცეთ უფლება ექიმობის შესწავლისა და ექიმობისა. რაც შეეხება სხვა თავისუფალ პროფესიებს, მაგალით-დ, აღვოკატურას, ძნელი

სათქმელია, როგორ შეხედავს ჩვენი ხალხი ასეთს მოვლენას. კანონი (შარიატი) ავალებს ქალებს, რომ მათ მხოლოდ გარეშე კაცების წინაშე აიფრონ სახე, მაგრამ იგი სულაც არა თხოულობს, რომ ქალე ი დამწყვდეულები იყოლიონ.

ყორანს კარგი გაგება უნდა, რადგან ზოგიერთი მისი აზრი ბუნდოვანად ეჩვენება გაუნათლებელ ხალხს. ამრტომ მასწავლებლები და სასულიერო პირი უხსნიან ხალხს ყორანის აზრებს. ამიტომ ყორანი უნდა გადათარგმნონ განათლებულმა და ისლამის კარგად მცოდნებმა. ყორანის გადათარგმნის წინააღმდეგ არა თუ მხოლოდ არაფრის თქმა არ შეიძლება, პირიქით ამ აზრს მხარი უნდა დაუჭიროთ და მის განხორციელებას ვეცადნეთ. მაგრამ მისი თარგმნა უნდა მიენდოს ფილოსოფიურად განათლებულ კაცებს, რომლებთაც კარგად აქვთ შესწავლილი ყორანის ენა და შინაარსი, რომ არ დაამახინჯან იგი.

საერთო სკოლების ორგანიზაცია არის სახელმწიფოს საქმე და არა სარწმუნოებისა. არც შეიხ-ულ-ისლამი, არც საზოგადოდ მუსულმანთა სამღვდელოება არ გაერევიან ამ საქმეში, რადგან იგი არ შეხება მათ. და სახელმწიფომ მოაწყოს ისეთი სკოლები, როგორებიც მას საჭიროდ მიაჩნია სამშობლოს სიკეთისა და ხალხის გასანათლებლად. მუსულმანთა სამღვდელოებას არას დროს არ მოუთხოვნია, არც მოითხოვს, რომ საერთო სასწავლებლები დაუქვემდებარონ მის ზედამხედველობას. შეიხ-ულ-ისლამს ექვემდებარება მხოლოდ სასულიერო სკოლები, ხოლო საერთო სკოლებში სარწმუნოვანი არის მარტო ერთ-ერთი საგანი სწავლებისა და მეტი არაფერი.

— ჩვენ მომხრენი ვართ სარწმუნოების ფართე თავისუფლებისა და სინიდისის საქმეში ჩვენ არ ჩავერევით სხვა საშუალებით გარდა სიტყვისა. ყორანი ავალებს მუსულმანს. რომელსაც ცოლად ქრისტიანი ქალი ჰყავს, კვირაში ორჯერ გაუშვას იგი მშობლების სანახავად. წინასწარმეტყველს არსად და არას დროს არ უქადაგნია ძალმომრეობა სინიდისის და სარწმუნოების წინააღმდეგ და თვით ძლიერების დროსაც-კი ოსმალებთს არ დაუჩაგრავს სარწმუნოების მხრით თავის ქრისტიანი ქვეშევრომები. და ყოველმა ის სჯული იწამოს, რომე-

ლიც უნდა. და სარწმუნოების საქმეში სუფევდეს სრული თავისუფლება!*)

კორესპონდენტს უკითხავს, შეიხ-ულ-ისლამი პრინციპიალურად წინააღმდეგი ხომ არაა, რომ მუსულმანმა ქრისტიანობა მიიღოს.

— ჩვენ, მუსულმანები, შევადგენთ თითქო ერთიან ჯარს და, რასაკვირველია, თუ ვინმე გადადგება ჩვენი რჯულიდან, ჩვენ დავინანებთ და ძლიერ უქმაყოფილობი ვიქნებით. ჩვენ ასეთს გადამდგარს დეზერტირიად (გაქცეულ ჯარისკაცად) ჩავსთვლით და როგორც ჯარი ასამართლებს დეზერტირისა, ჩვენც გავასამრთლებთ მას. მაგრამ ასეთი შეხედულება არ ეწინააღმდეგება სარწმუნოების თავისუფლებას, რომლის ძირითად საფუძველს შეადგენს ის, რომ ყველას თავისუფლად შეეძლოს თავის სურვილის თანახმად იწამოს სჯული, ეს ერთი. ხეორე კიდევ ისაა, რომ ჩვენ არას დროს არ მივმართავთ მთავრობას და არ მოვსთხოვთ, რომ მან სასტიკი ღონისძიება მიიღოს გადამდგრების წინააღმდეგ, არ მოვითხოვთ არას დროს იმას საც, რომ სახელმწიფომ სასტიკი კანონებით დაიცვას ისლამი. ჩვენს განაჩენს მხოლოდ ზეობრივი მნიშვნელობა ექნება... შეუძლებელია, რომ ვინმე ძალით ან ქრისტიანად, ან მუსულმანად გავხადოთ და ჩვენ არც გვინდა ესა, მაგრამ ვიმეორებ, რომ ჩვენ ძლიერ დაგვალნებიც და შეგვაწუხებს, თუ მუსულმანი სხვა სარწმუნოებას მიიღებს.

— ისლამი ნებას ძლიერს მუსულმანს შეირთოს ქრისტიანი ქალი. რატომ ქრისტიან კაცებს-კი არა აქვს ნება მუსულმან ქალების შერთვისა? — უკითხავა კორესპონდენტს.

*) ექნება ამ შეიხ-ულ-ისლამმა არ იცის თუ რა ჩაიდინეს თათრებმა ქობულეთის და ართვინის ქართველების გათარებისათვის. თავს აგნებინებდენ მათ რომელნიც გათათრებაზე უას იტყოდნენ და სხვების შესაშინებლათ ჭავარებზე წამოატყველენ და მრავალს ადგილს დაასობდენ შესახედავად სიცრუვე არის ის, რომ მაკმადი ძალით სარწმუნოების მიღებას არ ქადაგებდა. პირველადვე ცეცხლით და მახვილით გავრცელდა ყორანის სარწმუნოება და დაჩაგრულ ერებშიც ასე ვრცელდება დღესეც. თათრის მართვებლებას რომ ქრისტიანის სახელმწიფოების არ ეშინოდეს დიდი სინდან ბერძნები, სომხები და სხვა ქრისტიანები, რომელნც სპარსეთის სახელმწიფოში სცხოვრებენ გნთათრებული იქნებოდა დღე...

—ჩვენ, მუსულმანები, ებრაელთა და ქრისტიანთა სალვოთ წიგნებს ვსცნობთ ნამდვილ სალვოთ, წმინდა წიგნებად. ჩვენ მოსესა და იესოს ვცნობთ წინასწარმეტყველად ამიტომ ჩვენ შეგვიძლიან აგრეთვე მათი ქალების შერთვაც. მაგრამ ურიები და ქრისტიანები-კი არად აგდებენ ჩვენს საღვთო წიგნებს და ჩვენს წინასწარმეტყველსა. და აბა როგორ შეიძლება ჩვენი ქალები მივათხოვთ მათ.

გამომშვიდების დროს შეიხ-ულ-ისლამს კიდევ გაუმჟორებია, რომ იგი მომხრეა სრულის სარწმუნოების თავისუფლებისა; რუსეთის ქვეშევრდომ მუსულმანებს იგი მუდამ ურჩევს სამშობლოს ერთგულები იყვნენ და მხოლოდთავიანთ სარწმუნოებრივი უფლება დაიცვან.

—სამღვდელოება, ასეთია ჩემი რწმენა, უნდა განიმსქვალოს აზრით, რომ ყველანი ძმები და თანასწორები არიან ღვიანი წინაშე, მაშინ მოსიპობა სარწმუნოებრივი დავა და დევნაო, უთქვამს შეიხ-ულ-ისლამს.

კორესპონდენტი დასძენს: „რამდენად მაღლა სდგას ისლამის წინამძღვრობი ბევრ ქრისტიან ეპისკოპოსზე, თითონ მკითხველმა განსაჯოსო?“.*)

სამხედრო სამინისტრო დარღანელს აზგრებს ბელგიელ გენერლის ბრიალმონის პ.ნის თანახმად.

ინგლისის მეფემ ედუარდმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა სულთან აღდულ-ჰამიდს: „უდიდებულესობავ, გთხოვთ მიიღოთ ჩემგან გულწრფელი მოლოცვა თქვენის დაბადების დღის გამო, რომელსაც პირველად დღესასწაულობთ კონსტიტუციის აღდენის შედეგ, იმედია, რომ ისეთის გამოცდილის და გამოჩენილის დიდის ვეზირის დახმარებით, როგორც კიაილ-ფაშაა, ოტომანთა იმპერია მაღალ-აღარძინდება, ხოლო თქვენის უდიდებულესობის სახელი დიდებული შეიქმნება მთელის ქვეყნიერობის თვალში“.


*) ჩვენის აზრით ბ. კორესპონდენტი ცოტა მწყრალად ბრძანდება სახარების სწავლაზე და მიტომ მოსწონს შეიხ-ულ-ისლამის სიტყვები თორემ კარგად რომ ცოდნოდა სახარება მაშინ სულ სხვას იტყოდა. ერთი, ორი და ათი ეპისკოპოსიც, რომ ცუდად აზროვნებდეს ეს იმას არ ნიშავს, რომ ჩვენი ეპისკოპოსები ძირს იდგნენ შეიხ-ულ-ისლამზე და იმდენი არ ესმოდესთ მათ.

რედ.

შეიხ-ულ-ისლამმა დაუბრუნა მთავრობას ხუთი კონცესია, რომელიც მიღებული ჰქონდა ძველის მთავრობისგან ქვა-ნახშირის მადნების შესამთხავი ვებლად.

ახალგაზდა ეგვიპტელები.

ეგვიპტელებიც დაიწყო ახალგაზდა ეგვიპტელთა მოძრაობა. რომელსაც მიზნად აქვს ეგვიპტეს უამოუკიდებლობა და კონსტიტუციის დაწესება.

ამას წინად ეგვიპტის ახალგაზდობის წარშომადგენელი, „ახალგაზდა ეგვიპტელინი“, შეიკრიბნენ კონფერენციაზე უენევაში და თავიანთი მოთხოვნა თას დეპეშაში გამოსთვეს; ერთი დეპეშა ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრ გრეის გაუგზავნეს, მეურე — ეგვიპტეს ქედივს. პირველი დეპეშა შემდეგი შინაარსისა იყო: „ეგვიპტეს ახალგაზდობის დელეგაცია, შეიკრიბა რა კონფერენციაზე, ბეჯითს პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ ისგლისს უკანონოდ უყენია ჯარი ეგვიპტეში. დელეგაცია ხმა-მაღლა აცხადებს თავისუფლების სახელით, რომ ეგვიპტეს სრული უფლება აქვს დამოუკიდებლობისა და რომ იმგლისმა არა ერთხელ აღუთქვა ეგვიპტელებს, ჯარს გავიყვან ეგვიპტიდანაო. ქედივთან გაგზავნილ დეპეშაში ნაოქვამია: „ეგვიპტეს ახალგაზდობის დელეგაცია ლონდონში ჰეზავნის პროტესტს ოკუპაციის (ჯარის ჩაყენების) წინააღმდეგ და სთხოვს თქვენს უმაღლესობას, დაწესოთ პარლამენტი, რომელიც ეგრედ საჭიროა ჩვენის ძვირფას ეგვიპტესთვის“. 

რევოლუცია სპარსეთში

ბრძოლა თავიზიზში.

სომხურ გაზ. „გორც“ს დეპეშით ითყობინებენ თავრიზიდან:

„12 სექტემბერს დილის 8 საათზე ეინუდ დოკლემ სხვა და სხვა პოზიციებიდან ზარბაზანი დაუშინა თავრიზს. სათარ-ხანს ჯერ პასუხი არ ჟუცია“.

„პეტ. დეპ. საგენტო იურიება 11 სექტემბრის თავრიზით: თუმცა ულტიმატუმის ვადა გათავდა, ეინუდ დოკლემ მაინც არავითარ მოქმედებას

არ შეუდგა. ამ გარემოებამ გაიმხნევა რევოლუციონერები. ხალხში ავტოკრატიული ნეჯეფის მუშტე-იდების დეპეშას, რომელიც წმინდა ომს უცხადებს მთავრობას. ნაშეადლევს თოფის სროლა ასტყუდა სათარ-ხანის ჯირსა და რეაქციონერების უბანს—დავაჩის შორის.

სოლიკის და ასტყვის ინცინდენტი.

გაზ „ბაქუ“, ს ატყობინებენ თეირანიდან: თეირანის მიღამოებში შაშის ყაზახები ლიახოვის მეთაურობით დაეცნენ ინდოელ სიბაებს, რომლებიც მსახურებენ ინგლისის საელჩოში, და ათი კაცი დასჭრეს. ინგლისის ელჩი თხოულობს ბოდიშის მოხდას, დაქრილებრსთვის საზღაურს და ლიახოვის დათხოვნას. განწყობილება ინგლისის ელჩის ერთის მხრით და რუსთვის ელჩისა და ლიახოვს შორის მეორეს მხრით საბოლოოდ გამწვავდა.

როგორ უდეა დაიცარო თავი ხოლო საზიანო? *)

1 რომ თავიდან აიცდინო ავათშეოფება:

არ უნდა გამოიცვალო ჩვეულებრივი ცხოვრება; უნდა იყო ზომიერი და ფრთხილი საჭმელში. ყველამ კარგათ იცის გამოცდილებით რას ვერ იტანს ის, რა უფრო მავნებელია მისთვის და არა-სოდეს არ უნდა მიიღოს ისეთი რამ, რაც კუჭი აწყენს. საფრთხილოა (უნდა ერიდოთ): კიტრი, ნესვი, საზამთრო, ქლიავი, მსხალი, ვაშლი, ხილეულობა და სხვა და სხვა მწვანილეულობა (ველენს); აგრეთვე: დამარილებული თევზი, სოკო, გაჭვარტლული (კაპუშინა) კალბასი, ყველია მაგრად მოხარული კვერცხი და საზოგადოდ ძნელად მოსანელებელი საჭმელი.

2. რე მიღების წინ, უნდა ააღულო; კარგი მეუკე რე მაწონი ნაჩვევისათვის არ არის საშიშო, რადგან ხოლერის ბაცილა მეუკე რე კვდება.

3. ყველაზედ უფრო საფრთხილოა გადმოუდულებელი წყალი. მხოლოდ კარგი წყაროს წყლის დალევა შეიძლება გადმოუდულებლად, ისიც ძლიერ ცოტა, რათა კუჭი არ შეწუხდეს. თუ კი საჭიროა

წყურვილის მოსაკლავად დალევა საექვო გადმოუდულებელი წყლის, კარგია და სასარგებლო მიუმატოთ ერთ ჩის სტაქან წყალს 5 (ხუთი) წვეთი გახსნილი მარილის სიმჟავისა (разведенная сол. кис.)

4. ურიგოდ მომზადებული სელტერის წყლის დალევა არ ღირს, როგორც გლახა „კვასისა“.

5. ერთი ან ორი პატარა ჭიქა არაყის დალევა მიჩვეულისათვის არ არის მავნებელი, მაგრამ დათრობა ძლიერ საფრთხილოა.

6. წითელი ღვინო კარგია თეთრთან შედარებით.

7. კარგი ლუდი არ არის საფრთხილო, მხოლოდ ზომიერად და არა ძლიერ ცივი.

8 უკეთესია ჭიმოთ ბევრჯელ და ცოტ-ცოტა, ვიდრე ერთხელ და ბლომად.

9. (საჭმელის) ჭამის წინ ყოველთვის საჭიროა ხელები დაიბანოთ საპნით და ცხელი წყლით ან და გამწმენდი სითხით.

10. დილით უზმოთ არ უნდა გამოხვიდეთ, რადგან ამ დროს კუჭი არ არის სიმჟავე. საჭიროა შექამოთ პურის ნაჭერი მაინც. მარილით და ჩააყოლოთ ან გამოხარული წყალი და ან ჩაი, რათა გამოიწვიოთ სიმჟავე კუჭის წვენისაგან.

11. საცვლების სარეცხად ან დასალევად არ უნდა იხმაროთ გადმოუდულებლად მღინარის ან ჭის წყალი.

II რადგან გაცივება ძლიერ სელს უწეობს სოლერთ ავად გახთმდას, საჭიროა თბილად ჩაიცვათ განსაკუთრებით დილა სალამობით; ნოტიო და წვიმიან ამინდის დროს არ უნდა იაროთ ფეხ შიშველა. თუ საჭიროება მოითხოვს მინდორში ღამის გათევას, არ უნდა დაწვეთ ტიტველ მიწაზედ, არამედ თფილად განსაკუთრებით ცვარის დროს.

2) სასარგებლოა შეიხვიოთ მუცელი რამე შალით.

3) ოფლიანშა არ უნდა გაიხადოთ ტანთ, განსაკუთრებით ქარის დროს.

4) საფრთხილოა უზმოთ ან საჭმლის შემდეგ მდინარეში ან ტბაში ბანაობა, განსაკუთრებით გახერებულ ტბაში და არა იმიტომ მხოლოდ, რომ შეიძლება კუჭის გაცივება, არამედ მიტომაც რომ ბანაობის დროს ადვილად შეიძლება გადაყლობო გადამდები ბაცილა. აბანიებში ბანაობა შეიძლება, მხოლოდ უნდა უფრთხილდეთ გაუდულებულ წყლის

*) იხლე „მწემსი“ № 16 1907 წ.

მიმატებას, თუ ეს უკანასკნელი წყაროს ან არტეზიანის ჭისა არ არის.

III რადგანაც ხალქერა ვრცელდება უფრო იქ, სადაც ბევრია უფეხლ ნაირი სიბინძურე, ამისათვის საჭიროა:

1. მიაქციოთ ყურადღება, რომ ეზოებში და სადგომებში არ იქმნეს ნეხვი, მტვერი და ტალახი.

2. სადგომებში სივიწროვეს უნდა უფრთხილოდეთ.

3. რადგანაც ხოლერის გადამდები თვისება იმყოფება უმეტესად ნავალში, საჭიროა მიექცეს ყურადღება ფეხის ადგილებს; დიდ საჭიროებისათვის არ უნდა გახვიდეთ პირდაპირ მიწაზე, არამედ ამისათვის უნდა გქონდესთ ამოთხრილი ორმო; ხშირ-ხშირად უნდა აყაროთ მას კირი და საზოგადოდ უნდა უგდოთ ყური მის სისუფთავეს.

ა მ ი ს ა თ გ ი ს:

ა) დასაჯლომი და იატაკი ფეხის ადგილისა ყოველ გასვლის შემდეგ უნდა დაბანოთ ერთ ერთ შემდეგი სითხითა:

სულემით (1 ნაწილი სულემისა, 3 ნაწილი მარილისა და 1000 ნაწილი წყლისა წონით).

კირის რძით.

წმინდა კარბოლის სიმჟავით, სამ პროცენტიანი (გახსნით) (растворება) (ფეხისადგილებისათვის).

ბ) ფეხის ადგილებში ყოველ დღე უნდა ჩასხა შეერთებული სითხე—(1 ნაწილი გაუწმენდელი მარილის და ერთი ნაწილი გაუწმენდელი კარბოლის სიმჟავესი) მაგრამ ისე, რომ უწმინდურების ერთ ვედროზე, რომელიც ერთ დღე და დამეში ჩადის ორმოში მოდიოდეს $\frac{1}{2}$ გრავანქა შეერთებული სითხისა. კირის რე ახლად მომზადებული (ერთი ნაწილი დაუწერობელი კირი თოხ ნაწილ წყალზედ ისე, რომ ორ ვედრო უწმინდურობაზედ მოდიოდეს ერთი ბოთლი რძისა).*)

4. უნდა მიექცეს ყურადღება ქუჩების სისუფთავეს, განსაკუთრებით სოფლებში; ბავშვებსაც კი უნდა აეკრძალოს ქუჩებში გასვრა, განსაკუთრებით ქების ახლოს.

*) გაუწმენდავი კარბოლის სიმჟავე მოქმედებს აქ, როგორც გლახა სუნის მსპობელი საშეალება; ის შეიძლება მიუმატოთ კირის რძეს. მარილის სიმჟავის მაგივრად შეიძლება ისარგებლოთ ქეზაფით ცხრაჟ კირით — გრავირდის სიმჟავე) მაგრამ ეს უკანასკნელი უნდა აიღოთ სამჯელ მეტი.

5. უნდა იზრუნოთ რათა საცხოვრებელ სახლ-ჭი იქნეს კარგი ჰაერი. ამისათვის რთანებში არ უნდა გააშროთ სარეცხი, არ უნდა შეინახოთ გაურეცხელი სარეცხი, არამედ უნდა დამდუღლოთ ან გადაასხათ სულემი. ქუხნის ავეჯეულობა მაღ-მალ უნდა გარეცხოთ ადუღებული წყლით (მღულრით).

ІV რადგან ხალქერა გადამდები სენია, ამისათვის.

1. საჭიროა აიცდინოთ თავიდან უსაქმოდ ისეთ ეზოში ან სოფელში შესვლა, სადაც უკვე არიან ხოლერიანი ავადმყოფები.

V თუ ხოლერის დროს ვინმე გრძნობს კუჭის არა ჩვეულებრივ სიმძიმეს, სანამ ჯერ კიდევ ფალარით არ აქვს, მას ურჩევთ მიღოს როგორც დამამშვიდებელი საშუალება ბოტკინის წვეთები (კაپლი ბოტინა), ოცოცი წვეთი თითო რუმება წყალზედ დღეში ოთხჯელ.*.) ან და გახსნილი მარილის სიმჟავე ხუთ-ხუთი წვეთი წყლით დღეში ოთხჯელ; მუცლის ტკივილების დროს ინოზემცვევის წვეთები ოც-ოცი წვეთი თითო მიღებაზედ.

VI თუ სახლში გინმე ხდება აგად ფალარით:

1. საჭიროა ის მოაშოროთ დანარჩენ ოჯახს.

2. მაშინვე უნდა მოიწვიოთ ექიმი ან ფელ-შერი, მის მოსვლამდი კი ავადმყოფი უნდა დააწვინოთ და თბილად დახუროთ. მუცელზედ უნდა დაადოთ გახურებული რამ (პრიპარკუ): პარკი ნახერხით, ან ქერით ან და ნაცრით, მხოლოდ ისეთი ცხელი უნდა იყოს, რომ ხელს ძლივს უნდა კიდებდეთ, შემდეგ ამისა ავადმყოფს უნდა დაალევინოთ ცხელი პიტრის ჩაი, ან გამხმარი მალინისა ან „რომაშეისა“ ან და ნაძვის ყვავილებისა, რათა გამოიწვიოთ ოფლი. სასარგებლოა ჩაუმატოთ თითო სტაქან ჩაის 5 წვეთი გახსნილი მარილის სიმჟავე ან და ლიმონი. ძალიან კარგია კონიაკიანი ჩაი და ყავა.

თუ პირის ღება აუტყდება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება, უნდა აყლაპოთ ორ წამში თითო თითო პატარა ნაჭერი ყინა.

*) ვურჩევ კიდევ შემდევ წვეთებს (კაპლი); პიტრის და ვალერიანის „ნასტოიკას“ 1 დრახმი, გარეული $\frac{1}{2}$ დრახმა მარილის სიმჟავეში—ოც ცადა ხუთმეტი წვეთი 3—4 დღეში. თუ კუჭის ტკივილებიც არის, მაშინ იგივე წვეთებს უნდა მიუმატოთ მთელ კერძს 3 გრანი „კოდეინი-სა.

ძლიერი წყურვილის დროს უნდა ასვათ ცოტ-
ცოტა გაცივებული გადადუღებული წყალი ან
ცივი ჩაი, რომელთაც უნდა გაურიოთ მარილის
სიმჟავე ან ლიმონი.

თუ კუთებმა იწყო შეკმუშვა, მაშინ უნდა
დაზილოთ დიდი ნაჭერი ყივნითა; თუ ეს უკანასკ-
ნლი არა გაქვთ, ჩოთქით ან მაუდის ნაჭერით
რომელიმე სპირტით (ქაფურის ან ძმრიანი სპირ-
ტით ანა და უნდა დაალვათ პარკები წინდის მგზავ-
სი) ცხელი ნახერხით ან ქვიშით, სასარგებლოთ
აგრეთვე ცხელი ვანები (30—35°P)

თუ ავადმყოფი უკვედ ხდება, პირის ღება
შეუჩერდება და ფალარათი უკლებს, მაშინ რამო-
დენიმე დღეს არაფერი არ უნდა აჭამოთ, გარდა
აშისა, თხელი ბრინჯის და ცოტა ლვინისა.
ორი-სამი დღის შემდეგ შეიძლება კვერცხი და
მოდულებული რე მისცეთ.

4. პირის ნალები და ნავალი უნდა იქმნეს
შეგროვილი რამე ჭურჭელში; მას მაშინვე უნდა
გალავსხას რომელიმე ისეთი სითხე, რომელიც მათ
უწყვებლათ აქცევს, და იმ წამსვე უნდა იქმნას გა-
ტანილი ან ფეხის აღგილში ან და მისთვის განგებ-
ამოთხრილ ორმოში.

დეზინფექციას უნდა იქმნეს აღებული
შემდეგი სითხეები:

5) სამ პროცენტიანი წმინდა კარბოლის სიმ-
უვე (მაგალითად ერთი სტაქანი $\frac{1}{2}$ ველრო წყალ-
ზედ), ან

8) წყალში გახსნილი გაუწმენდელი მარილის (ერთი სტაქანი ან $\frac{1}{2}$ გირვანქა ორ ველრო წყალზე), ან

8) კირის ძე (4 გირვანქა დაუქრობელი კირი
ერთ ვედრო წყალზედ ახლად მომზადებული), ან
9) მდუღარე,

“ ემო მოყვანილ საშუალებებს (სითხეებს) ახ-
მენ საზოგადოდ თითქმის ორჯელ მეტს ვიღიე
ჯწმინდურობაა.

5. საჭიროა გაირეცხოს ავადმყოფის სკმი,
მისი ტანთ საცელი, საცვლები, ქვეშაგებელი და
ის ადგილები ტანისა, რომელიც გასერილია პირის
ნალებით ან ნავალით უვნებლად მყოფელი სითხით.

ამისთანა საშუალება შეიძლება მიიღოთ და-
ნიშნული აღიიღებიდან და აფთექიდან.

6. რაღაც ხშირად ხოლებიანი ავალშეყოფი
ძლიერ სუსტდება ისე, რომ აღარ ძალუქს აღგეს

საწოლიდან და ამისათვის ისვრება თავის ქვეშ საგებში. საჭიროა დაუგოთ ხოლმე კლიონები ზე ბევრი ჩალა; მაღალ უნდა გამოუცვალოთ და მაშინც დაწვათ.

იმისი შიში, როგორც ფექტობენ ზოგი-
ერთები, სავალმყოფოში შეიძლება გადაგე-
დვასთ ხოლება, უსაფუძვლოა, რადგან აქ
ყოველთვის მიღებულია ამის წინააღმდეგ ყო-
ველნაირი ზომები. საუკეთესო ამის დამამტკი-
ცხელი საბუთი არის ის, რომ ეჭიმები, არც
ფელდშრები და მოსამსახურენი შედარებით იშვია-
თად ხდებოდენ იყათ ხოლერით.

7. თუ ვინაოცობაა ხოლერიანი მოკვდა, გვამი
მისი უნდა გაიხანოს სულემით. კოცნა მათი
საფრთხილია.

„ცურა თავის დაფარვის მიზნით აღმოჩნდა ნაბ-
ლვილი და საიმედოო. ასაცურელად იღებენ ვოშჩინას,
მომზადებულს მკვდარი ხოლერის მიკრობე-
ბისაგან; კვდებიან კი ეს უკანასკნელნი სიცხით
(58⁰ იოჟ.) ერთ საათში.

აცრა ხდება 3-ჯელ შვიდ შვიდი ღლის გმა-
შვებით. პირველად შეუშხაკუნებენ (вспрыски-
ваютъ) $\frac{1}{2}$ კუბ. სანტ., ერთი კვირის შემდეგ
1 კ. ს. და კიდევ ერთი კვირის შემდეგ $1\frac{1}{2}$ 2 კ.
ს. ბავშებს რვა წლამდის ნახევარი ღოზა ჭირდე-
ბათ. უცრიან ან მუცლის კანს ქვეშ ან ზურგში

ასალი ამბეჭი და შენიშვნები

* * რევიზორი როგორც გვატყობინებენ
ზუგდიდის სამაზრო სამხედრო საკრებულოს სარე
ვიზიონდ ქუთაისის გენ. გუბერნატორის გ ნკრაჭ
ლებით გაიგზავნა საგლბერნიო სამმართველოს მო
ხელი აკიმოვდი.

* * სატახტო ქალაქის გაზეთებას სიტყვით
აზრადა აქვთ ყველგან რუსეთში სამხედრო წესი
გააუქმონ და იმის ნაცვლად შემოიღონ ს განვება
და გაძლიერებულ დაცვის წესები.

* * „წ. კ, გამავრცელებელ საზოგადოების
გამეობამ დაადგინა აღძრას შუაპლატონბა, ნებ
შიეცეს საზოგადოებას დაარსოს ახლ სენაკში

ბიბლიოთეკა-სამკითხველო. გამგეობაშ დადგინა აგრეთვე უარი გამოუტადოს უენევის სტუდენტებს უფასოთ წიგნების გაგზავნაზე.

* * * სინოდში ათავებენ პროექტს სასულიერო სემინარიების რეფორმების შესახებ. ენკვისტის პირველ რიცხვებში სემინარიებიდან გაიწვევენ ზოგიერთ მასწავლებლებს და ინსპექტორებს პროექტის ძირითად საფუძვლების გადასასინჯად. ღვინობისთვეში უკვე გადასცემენ ამ პროექტს საკანონმდებლო დაწესებულებებს დასამტკიცებლად.

* * * სარატოვში დღისათ ჩერქეზებმა გაიტაცეს 5 ბავშვი 7—8 წლ. გამტაცებლებს შეუტყუებიათ ბავშვები ბაღში, ვითომ ტკბილეულობის სასყიდლად და იქიდან მოუხვევიათ ხელი და წაუსხამთ. ჯერ-ჯერობით ვერ აღმოუყენიათ გამტაცებლები.

* * * გუშინ, 11 სექტემბერს, „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას რამდენმამე წევრმა განცხადება წარუდგინა მგოსნის აკაკის საიუბილეო დღესასწაულის გამართვის შესახებ. წევრნი სწერენ: „ამ წლის 8 ნოემბერს შესრულდება 50 წელიწადი მას შემდეგ, რაც მცხოვანი მგოსნი აკაკი წერეთელი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა და მოღვაწეობს. დიალი სამსახური მგოსნისა სამშობლო ქვეყნის წინაშე ავალებს ქართველს ხალხს, ღირსეულად იღლესასწაულოს თავის საყარელ მგოსნის 50 წლის მოღვაწეობის იუბილე და მით მაღლობა გადაუხადოს მგოსნის ამდენი ხნის განმავლობაში ნაყოფიერ მოღვაწეობისთვის.“ წევრნი სთხოვენ გამგეობას ითაოს და შეჰქრიბოს ქართულ საზოგადო დაწესებულებათა და გამოცემათა წარმომადგენელნი, ქართველი მწერლები და მოღვწენი და მათთან ერთად მოილაპარაკოს საიუბილეო დღესასწაულის გამართვის შესახებ, აგრეთვე უნდა აჩვეულ იქნას კომიტეტი, რომელიც ითავებს დღესასწაულის გამართვას.

* * * 10 სექტემბერს ხოლერით ავად გახდა საინტენდანტო სამშროველოს გადამწერი ივანე სეროგლაზოვი, რომელიც ხოლერითა საავადმყოფოში გარდაიცვალა. იმავე დღეს ავად გამხდარა პოლიციის მე-6 ნაწილში სპარსეთის ქვეშევრდომი ისმაილ-ასან-ოლლი, მე-9 ნაწილში, ელისაბედის ქუჩაზე (№ 22)—გეურქ დავილიანცი. ავადმყოფები ხოლერიანთა ბარაკში მოათვეს.

* * * როგორც ამას წინადაც იყო აღნიშნული, ტფ-გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, რომ

მომრიგებელ შუამავლობის თანამდებობაზე ეგზა-მენი უნდა დაიკირონ ხოლმე იმათ, უნც ალინშ-ნულ თანამდებობის მიღებას მოისურვებს. გამოცდა კანდიდატებისა დაევალა საგუბერნიო საგლეხო საკრებულოს. ამ დღეებში გამოსცადეს ერთი კან-დიდატი, რომელიც უნდა დანიშნონ ერთ-ერთ მაზრაში.

* * * სამრევლო-საეკულესიო სკოლების მოსწავლე ვაჟთა და ქალთათვის ტანისამოსის ფორმა შემოულიათ. (ტ. ლ.)

* * * ამ რამდენიმე წლის წინად ტფილისის მცხოვრებელმა შამხაროვმა ქალაქ ტფილის სიკვდილის დროს დაუტოვა უძრავი მამულები ტფილისა და სხვაგან, იმ პირობით, რომ იმ მამულებით სიცოცხლეში ესარგებლნა ცოლს. რაღაც მოანდერდეს ცოლი 12 სექტემბერს გარდაიცვალა, ქალაქის გამგეობა შეუდგა ნაანდერდევ მამულების ცნობაში მოყვანას.

* * * შეტერბულგი. გზათა სამინისტრომ გამოსცა წესები ღვინის გადაზიდვისა განსაკუთრებულ ვაგონებით. ამ ვაგონებში ღვინის გამგზავნები (როცა თითონ მოითხოვნ ვაგონებს) ცალკე ფასი გამოერთმევა—ორი კაპეიკი ვერსხე.

* * * შეტერბულგი. 10 სექტემბრის 12. საათიდან 11 სექტემბრის 12 საათამდე ხოლერით ავად გახდა 355 კაცი, გარდაიცვალა 172. პეტერბულგის გუბერნიაში 8 დან 10 სექტემბრამდე ივად გახდა 81, ვარდაიცვალა 11 კაცი.

დონის როსტოვში 1. დან 9-მდე ავად გახდა 108, გარდაიცვალა 57. სულ სენის გაჩენიდან ავათ გახდა 1968, გარდაიცვალა 479 კაცი.

შეცდომის გასწორება, „მწყემსი“-ს მე 6 გვერდზე პირველ სვეტის 31 სტრიქონიდან შვიდი სტრიქონია შეცდომით ზნებრივი შინაარსის სტატიდან გადმოტანილი. ამასთან პროფესორის პეტრიაშვილის ხსოვნის სტატია შეცდომით კორექტურის შეცდომების გაუსწორებლათ არის გაშვებული, რომელ შეცდომებსაც მეითხევლიც აღვილად მიხვდება და გაასწორებდა. რედ.



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობის სასწავლებასა და კეთილგაზირებაზე.

შიგნივე „რიცხვთა“ *).

ნაწილი მეორე (10,11—21)

ევგვიპტიდან გამოსვლის მეორე წლის, მეოთხე თვის, მეოცე დღეს ურიები სინას მთის მიღამოდან გაემ ზავრნენ აღთქმის ქვეყნისკენ. თანახმად ნესტვების დაკვრით მიცემული ნიშნისა, ხალხი საომარი წესით დაწყობილი გაემართა გზად; მას წინ მიუძლოდა საწამებლის კიდობანი; ღვთის ბრძანებით, გამოჩნდა სვეტი ღრუბლისა, რომელიც დღისით უგრილებდა მათ სიცხეს. ხოლო ღამით უნათებდა გზას. მგზავრობის დროს, როცა ლევიტელი აიღებდნენ და შეღვავდნენ მხრებზე კარავს, მოსე ხმამაღლა იტყობდა: «დაზღებ უფაფო, და კანაბი მტერნი შენი, და ივლტოდენ უვეჭი მოძული შენი შენი ჰირისაგან შენისა. ხოლო როცა კიდობანი დადგებოდა, მოსე ღალადებდა: მთაქციე, უფაფო ათასეული და ბევრეული ისრაილის. (თ. 10,11—36)

უდაბნოში მოგზაურობის და სასტიკი სამხედრო წესწყობილების შემოღების გამო, ურიები შეწუხდნენ და იწექს ბორტად დრტვინგა წინაშე უფლისა. შედეგი ამ დრტვინვისა ის იყო, რომ ცეცხლმა შთანთქა რაოდენიმე ნაწილი ბანაკისა; ამ ადგილს დაარქვეს: „ცეცხლთა მოწე“. ურიებთან ერთად ეგვიპტიდან გამოვიდნენ უცხო ტომის ხალხიც. ამ უცხო ტომელებმა და მათთან ერთად უიგბშაც გაიხსენეს ეგვიპტური საჭმელები: თვეზი, ხილი, ნესვი, საზამთრო, პრასი, ხახვი და ნიორი, რომელიც იქ ბევრი იყო, ხოლო აქ უდაბნოში არ იშოვებოდა; მანანა კი მოსწყინდათ მათ და კვალად იწყეს დრტვინვა მოსეზე. მოსეს ესმოდა ერის დრტვინვა, ხედავდა ღვთის რისხვასაც მდრტ-

* იხილე „წყემის“ № 16 1908 წ.

ვინველებზე და ძალიან სწუხდა სულით. ღვთის ბრძანებით, იმავე ღამეს ქარმა მოტევეა უტოგების ბანაკზე მრავალი მწყერი, ურიები იცერდნენ მწყერებს, ხოცავდნენ და სჭამდნენ; ბევრმა შემდეგისთვისაც შეინახა ბანაკს გარეთ მზეზე გახმობილი მწყერი. აქედან ურიები წავიდნენ ასიროთად. (თ. 11).

ასიროთში მოსეს უსიამოვნება მიაყენეს ძმაშ არონმა და დამ მარიამმა; მათ ძვირი სთქვეს მოსეს მეუღლეზე ეთიოპელის ქალზე. ღმერთმა დასაჯა ბარიამი კეთროვნებით, ხოლო არონი გადარჩა სასჯელს ცოდვის მონანიების შემდეგ. მოსეს ლოცვით, მარიამიც განიკურნა კეთროვნებისგან, ზაგრამ, როგორც არაწმინდამან შვიდი დღე დაჲყო ბანაკს გარეშე. (თ. 12).

ასიროთიდან ერაელნი მოვიდნენ ფარაონის უდაბნოში; ისინი მიუახლოვდნენ აღთქმის ქვეყნის საზღვრებს; თანახმად ხალხის სურვილისა, მოსემ აირჩია თორმეტი კაცი, რომელთაც უნდა დაეთვარიელებინათ აღთქმის ქვეყანა და გაეგოთ მისი ივკარგი. ამ კაცებმა ორმოცი დღის განმავლობაში მოიარეს აღთქმის ქვეყანა და დაბრუნდნენ ბანაკში; მათ აქეს ნაყოფიერება აღთქმის ქვეყნისა, მაგრამ იქ შესვლა არ უჩჩიეს ურიებს, რადგანაც მათი აზრით იქაური ხალხი ძალიან ღონიერი და გამოცდილი მეომრები იყვნენ ქალაქებიც გამაგრებულები ჰქონდათ. (თ. 13).

ხალხი ძალიან ააღელვა შზვერავთა სიტყვებმა; გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც ურჩევდნენ ხალხს მოსესა და არონის ქვებით ჩაქოლვას, ახალი ერისთავის დაყენებას და ეგვიპტეში დაბრუნდებას. ხალხი ძალიან ჯავრობდა მოსეზე და არონზე; ორი მზვერავთაგანი—ისუე ნავესი და ქალები არწმუნებდნენ ხალხს, რომ ღმერთი შეეწევა ებრაელთა და მათ არ გაუჭირდებათ აღთქმის ქვეყნის აღება და დამკვიდრება მასში, მაგრამ ამ ორმა კაცმა ვე რაფერი გაცეცეს ათის წინააღმდეგ, დიდება ღვთის, გამოჩნდა ღრუბელში და მან უბრძასა მოსეს, რომ მოსრავს ერს. მოსე ევედრებოდა ღმერთს ერისთვის და ღმერთმაც შეუნდო ებრაელთ შეცოდება მათი, მხოლოდ ბრძანა, რომ იმ თაობიდან მხოლოდ ისუე ნავესი და ქალები შევლენ აღთქმის ქვეყანაში დანარჩენი კი დაიხოცებიან უდაბნოში მოგზაურობის დროსვე და მხოლოთ და მხოლოდ მათი შვილები შევლენ აღთქმის ქვეყანაში; ხალხს ებრანა უკან დაბრუნდება უდაბნოში, საცა მათ უნდა

ემოგზაურნათ კიდევ ორმოცი წელიწადი. ზოგმა ურიათაგანმა ურჩობა გაუწიეს მოსეს; მათ სურდათ შესვლმ აღთქმის ქვეყანაში და შეერივნენ კიდევ მთებში, მაგრამ გამოდევნილ იქმნენ ქანაანელთაგან. (თ. 14).

ებრაელთ მიეცათ ღვთისგან კანონები მხევერპლების და უნებლივთ შეცოდების შესახებ; ეს კანონები მათ უნდა აღესრულებინათ აღთქმის ქვეყანაში შესვლის და დამკიდრების შემდევ; მისცა ღმერთმა აგრეთვე კანონი სჯულის დარღვევის შესახებაც. თუ ვინმე დაარღვევდა სჯულს ხელითა ამჟარტაფნებისათა, ე. ი. განზრახ, ნებით, ის უნდა ჩაექოლათ ქვით. ასრულეს კიდევ ეს კანონი ერთს კაცზე, რომელიც შაბათს შეშას აგროვებდა უჯაბნოში. (თ. 15).

ისრაელთა შორის გამოჩნდნენ მოსეს და არონის უფროსობის უკმაყოფილონი. ამათ მეთაურებათ იყვნენ კორე ლევიტელი, დათან და აბირონი, რუბენის ტომისგან; ამათ მიიმხრეს ორას ორმოცდა ათი კაცი, მთავარნი კრებულისანი, მოვიდნენ მოსესთან და მოსთხოვეს მას დაეთმო მათთვის უფროსობა და არონს მღვდელთ მთავრობა, რაღანაც, მათი აზრით მთელი ერი წმიდა, მათ შორის არის უფალი მაშასადამე ყველა ებრაელს შეეძლო ყოფილიყო მღვდლად. თანახმად მოსეს წინადადებისა, მეორე დღეს კორე და 250 ერის მთავარნი მოვიდნენ კარავთან და მოიტანეს სასაკმეველით კმევის შესასრულებლად; დათანი და აბირონი კი არ მოსულან. ცეკვლმა, რომელიც გამოხდა პირისაგან ღვთისა, შესწვა კორე და მასთან 250 მთავარი, ხოლო დათან და აბირონი შთანთქა მიუწამ მთელი მათი ქონებით და ოჯახობით. ამ სასტიქმა სასჯელმა ვერ დაამშვიდა მეამბოხენი. არონს და მოსეს აბრალებდნენ ისინი ამოდენა ხალხის დახოცვას; შემდევ ამია დაიხოცა კიდევ თოთხმეტი ათას შვიდასი კაცი. (თ. 16).

სამღვდელო ხარისხშე დავის და არეულობის მოსაპობად, მოსემ, ღვთის ბრძანებით, მოსთხოვა ებრაელთა ტომის ყველა წარმომადგენლებს კვერთები, რომელზედაც უნდა დაწერილი ყოფილიყო თვითოვეული უფროსის სახელი და დააწყო ისინი ღამე კარავში; მეორე დღეს აღმოჩნდა, რომ კვერთხი არონისა რომელზედაც ეწერა სახელი ლევისი განედლებულიყო და ფურცელი და ნაყოფი გამოე-

ლო. ამით ყველამ სცნო და დარწმუნდა. რომ ღვთისაგან სამღვდელო ხარისხში სამსახურებლად არჩეული იყო არონი.—კვერთხი არონისა იყო ნიშანი მისი უფლებისა და ძალისა. კვერთხის მქონებელი მღვდელთ მთავარი უნდა ყოფილიყო მღვიძისა და მუყაითი ყურის მგლებელი ერისა და სჯულისა. არონის კვერთხი განედლებული მოასწავებდა, წმ. მამათა აზრით, მაცხოვრის ზესთაბუნებრივს შობას ქორწილის გამოუცდელ ქალწულისაგან. (თ. 17).

ამასთანავე ღმერთმა უბრძანი არონს და მისს შვილებს მტკაცედ აღესრულებინათ თავისი მოვალეობა და თანამდებობა; გაახსენა კანონი ათეული ნაწილის შესახებ, რომელიც უნდა აელოთ ხალხისა გან მღვდლებს თავის სასარგებლოდ. (თ. 18).

ყოველი ებრაელი, თანახმად კანონისა, ითვლებოდა არა წმიდათ თუ მიეკარებოდა მიცვალებულს, ან შევიდოდა იმ კარავში, რომელშიაც იყო მიცვალებული. კორეს, დათან და აბირონის აჯანყების გამო დახოცილთა ღამარხების შემდევ, ბევრი ურიათაგანი შეიქმნებოდა არაწმიდად. ამ არაწმიდებისაგან გასაწმენდელად, ღმერთმა მისცა ებრაელთ ბრძანება სჯულისა—კანონი—წითელი ღია გეგულის მსხვერპლის შესახებ. წითელი დიაკეულის მსხვერპლის დაწესებას, რომლებიც სრულდებოდნენ მისი შეწირვის დროს ჰქონდათ თავისი საკუთარი მნიშვნელობა. წითელი ანუ მეწამული ფერი ნიშნავდა კაცთა ცოდვებს, რომელთაგანაც საჭირო იყო განწმენდა. დიაკეული უნდა ყოფილიყო უმანკო, უზადო, უნაკლულო, როვორც შეფეროდა ღვითისათვის სამსხვერპლო ცხოველს. გარდა ამისა დიაკეული უნდა ყოფილიყო ულელ-უდაგმი, რაღანაც კაცისგან ნამუშავები საქონელი აღარ შეეფერებოდა ღმერთს მსხვერპლად. რადგანაც ეს წითელი დიაკეული ტვირთულობდა მთელი ერის ცოდვას, ამიტომ იგი უნდა დაეკლათ და დაწვათ ბანაკს გარედ. დაკლული დიაკეულის სისხლს მღვდელი შვიდ გზის ასხურებდა კარვის კარებ წინ. რადგანაც კარავი იყო ღვთის საყოფელი ადგილი, ამიტომ სხურება ნიშნავდა, რომ ებრაელი ცოდვათა განწმედას ელოდედა ღვთისაგან. შვიდ-გზის სხურება ნიშნავდა განწმედის სისრულეს. სისხლის სხურების შემდევ, მსხვერპლს სწვავლნენ მთლად ტყავთან შიგნეულიანად, დაწვის დროს თან ატანდნენ ნაძვის ხის ნაჭერს, უსუპს და მეწამულის მატყლს. წმ. მამები ასე განმარტებენ ამ მსხ-

ვერპლის მნიშვნელობას ნაძეის ხე ნიშნავდა იქსოს ჯვარს, მეწამული მატყლი მაცხოვრის სისხლს, უსუპი ქრისტეს მაღლის განმაცხოველებელს და განმშენდელს ძალას; დიაკეულის დაკვლა ბანაკის გარედ ნიშნავდა იქსოს ჯვარუმას იერუსალიმის გარედ. შეწირვის შემდეგ, რომელიმე კაცი შეაგროვებდა ნაცარს და ინახავდა ბანაკის გარეთ წმიდა ადგილში.

ყოველი ებრაელი, როგორც ზემოთაც მოვიხსნეთ ითვლებოდა არა წმიდად შვილი დღე — თუ შეეხებოდა მიცვალებულს, ან მისს საფლავს, ან ძვალს ან რაიმე ნივთს, რომელიც იყო მიცვალებულის ოთახში. უეჭველია, ასეთი სასტიკი კანონები მიცვალებულთა შეხების გამო მოსემ მიტომ მისცა ურიებს, რომ დაეცვა იგინი გადამდებ სენ. თაგან, მაგრამ წმ. მამები უფრო ღრმა აზრს ხედვენ ამ კანონებში; ეს კანონი ასწავებდა მათ ზეობრივ უწმინდურობის შეგნებას და აუცილებელ საჭიროებას ზენობითი გამოსყიდვისას ცოდვათა სიბნელისაგან.

წითელი დიაკეულის ნაცარი ცხოველ (წყაროს) წყალში არეული იხმარებოდა მიცვალებულთა შეხებრსგან არაწმიდების განსაწმედელად; ერთაგანსაც შეეძლო ესხურებინა ეს წყალი არაწმიდა პირისა და საგნებისათვის; სხურება ხდებოდა მესამე და მეშვიდე დღის შემდეგ არაწმიდების შეხებისა (თ. 19).

გამწმენდავი წყალი ძველი აღთქმისა მოასწავებდა ახალი აღთქმის საიდუმლოს წყლით სულიწმიდით განწმედისას — ე. ი. ნათლის ღებას.

მოგზაორობის მეორმოცე წელიწადს ებრაელი მოვიდნენ სინის უდაბნოში; აქ მოკვდა მოსეს და მარიამი. წყლის ნაკლებობის გამო, ურიებმა ღრტვინვა დაიწყეს მოსეზე და არონზე. ღმერთმა უბრანა მოსეს და არონს კლდიდან გამოედინა წყლი ხალხისთვის. ამ სასწაულის მოხდენის უამს შესცოდეს წმ. მმებამ. მოსემ, მის მაგივრად, რომ ებრანებინა კლდისთვის წყლის გამოდინება, ორგზის დაპრა კვერთხი კლდეს და გულის წყრომით უოხრა ხალხს: ისმინეთ ჩემი, ურჩნო, ნუ კლდის ამისაგან გამოგიდინოთ თქვენ წევადი? წყალი გამოვიდა კლდიდან ლვთის მაღლით, მაგრამ მოსე და არონი კი დასაჯა ღმერთმა მცირდე მორწმუნებისთვის — განუწესა მათ სიკვდილი გარეშე აღთქმის ქვეყნისა. სასწაულებრივად გამოდინებულს წყალს დაერქვა „წევადი ცილაბისა“, რამეთუ მაცილონებელ იქმნეს ქნი

ისრაილისნი წინაშე მდგთისა. აქედან მოსემ კაცები გაუგზავნა ედომელთა მეფეს და სთხოვა მას ნებართვა მისი სამფლობელოზე გავლისა; ედომელთ მეფემ უარი უთხრა; მაშინ ისრაილნი წავიდნენ ორის მთისკენ. აქ გარდაიცვალა ძმა მოსესი, მღვდელთ-მთავარი არონი. მისი თანამდებობა გარდაეცა მისს შვილს ელეაზარას; ოცდა ათი დღე იგლოვეს ებრაელებმა არონ მღვდელთ-მთავარი. (თ. 20).

არონის გამოგლოვის შემდეგ, ებრაელთ მოუხდათ შეტაკება არადის მეფესთან, რომელიც სძლიერ; ებრაელნი მოღიოდნენ უდაბნოთი, შემოაკლდათ წყალი და ჩვეულებისამებრ დაიწყეს ღრტვინვა მოსეს წინააღმდეგ: ღმერთმა დასაჯა ურიანი; მოუკლინა მათ შხამიანი გველები, რომლებიც ჰაბენლენენ და აწუხებდნენ ხალხს; ბევრი ხალხი მოისრა; ხალხმა შებრალება ითხოვა და ღმერთმაც უბრძანა მოსეს გაეკეთებინა რვალის გველი და დაეკიდნა ძელზე; ვინც გველთაგან დაკავენილი სასოებით შეხედავდა რვალის გველს, ის განიკურნებოდა ტკივილისგან. ძელზედ ჩამოკიდებული გველი მოასწავებდა იქსოს ჯვარუმას. ეს თვით მაცხოვარმა გამოხატა შემდეგი სიტყვებით: ვითარცა იგი მოსე ადამიადლა გველი უდაბნოსა, ეგრეთვე ჯერას ამადლება ძის გაცისა, რათა უოველსა, რომელსა რწმენეს იგი, აქვენდეს ცხოვრება საუკუნო. (იოანე 13, 14).

ნეტარი თეოდორიტე ასე განმარტებს რვალის გველის მომასწავებელს მნიშვნელობას; როგორც რვალის გველს ჰქონდა მხოლოდ სახე გველისა და არა ჰქონია მისი გესლი, ისრე მხოლოდ შობილს ძეს ჰქონდა მხოლოდ ხორცი კაცისა, მაგრამ არა ჰქონია მწიული ცოდვისა. როგორც შხამიან გველისგან ნაკბენები რვალის გველზე სასოებით შეხედვით იკურნებორნენ, ეგრედვე ცოდვისგან შეჭირვებულნი, რომელთაც უეჭვოდ სწამთ ვნება იქსო მაცხოვრისა, მძლე ექმნებიან სიკვდილს, დაიმკვიდრებენ საუკუნო ცხოვრებას. — შემდეგ ამისა ებრაელებმა დაამარცხეს სეონ, მეფე ამორეველთა და ოგ, მეფე ბასანისა და დაიჭირეს მათი სამეფოები. (თ. 21).

ნაწილი შესამე. (თ. 22, 41).

ებრაელნი მიუახლოვდნე მოაბელთა მეფის სამფლობელოს. მეფე მოაბისა ბალაკი ძალიან დააფიქრა ებრაელთა მოახლოვებამ. მან შეაგროვა თავის მეტობლები — მაღიამელთა მოხუცებულები და გამართა თათბირი ებრაელების მოგერების შესა-

ხებ. აწ აღუშნოს ქრებულმან შან (ეპრედთა) უფეხლი გარემოს ჩვენს, ვითარცა აღლუშნოს ზრდაში მწვან. ვიღო გელისაგან, ამბობდა ბალაკ მეფე. გადასწყვი-ტეს მოეწვივნათ ცნობილი მაშინ მოგვი ბალამი, რე ბოერისა, რომელიც სცხოვრებდა ეფრატეს მდინან გზე; მას უნდა დაეწყევლა ებრაელნი. მხოლოდ მეორედ თხოვნის და დიდი საჩქრების მიღების შემდევ წავიდა ბალამ ბალაკთან. გზაზე ანგელოზი უფლისა გადუდგა წინ ბალამის ვირს და არ უშვებდა; ვირმა უკან დაიწია, ბალამმა დაუწყო ცემა მას, შემდევ ვირი წავიდა ორლობებში, ანგელოზი აქაც წინ გადევლობა, ვირმა ღობისკენ მიიწია და მიაჰყლიტა ფეხი ბალამს, მან უფრო უმატა ცემას; ბოლოს ანგელოზი მსველით გაჩერდა ისეთს ვიწრო აღგილს, საიდანაც გადახვევა იღარ შეიძლებოდა და ვირი დაწვა; ბალამი უფრო განრისხდა და კვალად მოუმატა ცემა ვირსა; ღმერთმა გაუხსნა ენა ვირს და მან იწყო ლაპარაკი და აყვედრიდა ბალამს სისასტიკეს. ბალამსაც აღეხილნა თვალნი და დაინახა ანგელოზი. ანგელოზმა უბრძანა ბალამს არაფერი არ ელაპარაკნა იმის მეტი, რასაც უბრძანებდა ღმერდი. მოვიდა ბალაკთან ბალამი და უთხრა, რომ ილაპარაკებს მხოლოდ იმას, რასაც ღმერთი უბრძანებს. დიდი პატივის ცემის შემდევ ბალაკმა აიყვანა ბალამი ერთს ბორცვზე, სადაც ამართული იყო ბალის ძეგლი. (თ. 22).

ბალაკ მეფემ ბალამის ჩერვით ააშენა პირველს ბორცვზე შვიდი ბომონი—სამსხვერპლო და თითო ვერძი და ზვარაკი დაადებინა მსხვერპლად. ღმერთი გამოეცხადა ბალამს; ბალამმა სთქვა პირველი იგავი თვისი. შინაარსი ამ იგავისა შემდევია, ბალაკმა მომიწვია შუა მდინარით ებრაელთა დაწყევლად, მაგრამ როგორ დავწყევლო უფლისგან დალოცვილი ერიო; ერი ებრაელთა გამორჩეულია უველა ერთაგან, აურაცხელია, როგორც ქვიშა ზღვისა. ბალამს სურს ამ ერის შორის სიკვდილი-ბალაკ მეფეს არ ესიამოვნა ებრაელთა დალოცვა, მაგრამ ბალაკმა უთხრა ანუ არ გითხრა შირველა, რა-ცა და დასტურებს მოსტების გარემოს. ბალაკმა სურიან მოსტების გარემოს გამოვარდნა მან გა-მოიყვანა იგი ეგვიპტით, დაუმორჩილა მას ცველა ერი; ერთა პყრობაში ისრაილი ემსგავსება ლომების და ლევისა ლომისასა, რომელნიც სძლებიან ნანა-დირევით და სმენ მტერთა სისხლს. ბალაკ მეფე უფრო გამწარდა და სთხოვა ბალამს არც დაელო-ცა ურიანი და არც დაეწყევლა, მაგრამ პალამმა უთხრა, რომ ის ამობს ლვთის ნებით.

აქედან ბალაკმა სხვა ადგილზე წაიყვანა ბალა-მი, აუშენა კვალად შვიდი ბომონი და სთხოვა ებრაელთა დაწყევლა (თ. 23).

ბალამმა მესამედ დალოცა ებრაელნი. მან მთიდან დაინახა მშვენიერი ბანაკი ურიათა და ილ-ტაცებით ამბობს როგორც კაცი კეშმარეტად მხილველი, რომელმაც იხილა ხალვა ლვთისა. ის ხედას ებრაელთა მშვენიერ ბანაკებს, ადარებს მას გრილ მთებს, მცინარის პირად აყვავებულს ბალებს და მშვენიერ ნაძვის ხეებს; უწინასწარმეტყველებს მტერთა ძლევას და დასძრეს: მეურთხეველი შენი პურთხევლ იუგნენ, და მწევეგარი შენი წეველ იუგნენ. — ბალაკი გაურისხდა ბალამს, რაღანაც დაწყევლის მაგიერ, სამ გზის დალოცა ებრაელები და სთხოვა შინ წასულიყო. შინ დაბრუნების წინ ბალამმა უკანასნელიად კიდევ დალოცა ებრაელნი და იწინასწარმეტყველი იესოს მოსვლა: ვეჯდავ მას და არ აწ; ვინატრი და არ ასლოდების; ადმოქსდეს ვარსკევლავი იაქაბისგნ და ადსდებეს ქაცი ისრაილისგნ და დასცეს მთავარნი მთაბისნი და წარმოსტებენეს უ-ველი ქენი სეითისნი (მ. 17). ეს სინასწარმეტყვე-ლება პირველად გხება დავით ებრაელთა მეფეს, რომელმაც მართლა დაიმორჩილა მოაბელნი და სხვა მეზობელი ხალხიც; ხოლო საცხოვით და სა-ბოლოვოდ ეხება იესო მაცხოვარს, ვარსკვლავს იაკობისგან. (თ. 24). შინ დაბრუნების წინ ბა-ლამმა ურჩია მოაბელ ქალებს, რომ მათ შეეც-დიანთ ურიანი მრუშებით და კერპთთაყვანის ცემით. ამით მან რაოდენათმე მოიგო გული ბალაკ მეფისა. მართო სიტევად.

ბალაკმა ბალამი წაიყვანა ბორცვზე, საიდანაც სხანდა მხოლოდ ერთი ნაწილი ებრაელთა ბანაკისა,

ეგონა აქედან დასწყევლისო, მაგრამ ბალამმა აქე-დანაც დალოცა ისრაელი. ღმერთი არა ვითარცა კაცი შეირუებს, და არა ვითარცა მე კაცისა იცვალებას, სთქვა ბალამმა; რაკი აღუთქვა ღმერთმა სიკეთო და წყალობა ებრაელებს, მრანიჭებს კიდევც, მან გა-მოიყვანა იგი ეგვიპტით, დაუმორჩილია მას ცველა ერი; ერთა პყრობაში ისრაილი ემსგავსება ლომების და ლევისა ლომისასა, რომელნიც სძლებიან ნანა-დირევით და სმენ მტერთა სისხლს. ბალაკ მეფე უფრო გამწარდა და სთხოვა ბალამს არც დაელო-ცა ურიანი და არც დაეწყევლა, მაგრამ პალამმა უთხრა, რომ ის ამობს ლვთის ნებით.

(გაგრძელება იქნება).